

წალკის სოფელ სამების ჯვრის მამათა მონასტერი
თბილისის სასულიერო აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის სასწავლო-კვლევითი
ცენტრი

ჰიმნოგრაფიული კრებული

I

**ნმ. ბიორგი მთაწმინდელის რედაქციის
პ ა რ ა კ ლ ი ტ ი ნ ი**

მომივსენენი

სანოტო დანართი წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე)
ხელნაწერების მიხედვით

ძეგლი სანოტო დანართითურთ გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს
მონაზონმა გიორგი ასკურავამ და მონაზონმა ექვთიმე კრუპიცკიმ

გამომცემლობა
„სულიერი ვენახი“
თბილისი
2020

Tsalka, Sameba village, Cross Monastery
Tbilisi Theological Academy
National Centre of manuscripts
Ecclesiastical Chant Research Centre of the Georgian Patriarchate

Hymnographical collection

I

Octoechos of St. George the Hagiorite's edition

Troparia on the Beatitudes

Musical attachment by Ekvtime (Kereselidze) manuscripts

Text with musical attachment was prepared for publication and the researched material was submitted in the introduction by
a monk Giorgi Askurava and a monk Ekvtime Krupitski

"Sulieri Venakhi" publishers

Tbilisi

2020

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია **წმ. გიორგი მთაწმინდელის** რედაქციის პარაკლიტონის „**მომიჯსენენი**“, რომელსაც ახლავს სანოტო დანართი **წმ. ექვთიმე აღმსარებლის** (კერესელიძე) ხელნაწერების მიხედვით.

გამოცემა **ორი ნაწილისგან** შედგება: **პირველი ნაწილი** წარმოადგენს „**მომიჯსენენის**“ კრიტიკულად დადგენილ სამეცნიერო ტექსტს, რომელსაც ახლავს სხვადასხვა ხელნაწერში ასახული სახეცვლილებების ჩვენება სქოლიოების სახით; **მეორე ნაწილში** განთავსებულია სანოტო დანართი, რომელიც მგალობლებს საშუალებას მისცემს საღმრთო ლიტურგიაზე „**მომიჯსენენი**“ გალობით აღავლინონ.

ასევე პირველად ქვეყნდება სრული სახით **წმ. გიორგი მთაწმინდელის ანდერძი**, რომელიც დართულია მის მიერ შედგენილ **პარაკლიტონზე** და **ანონიმი** ავტორის მიერ **წმ. გიორგი მთაწმინდელისადმი** მიძღვნილი **შესსმა**.

ნაშრომი განკუთვნილია როგორც ფილოლოგებისთვის, ისე მგალობლების, მედავითნეების, და საეკლესიო ჰიმნოგრაფიით დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

In the present publication we represent troparia on the Beatitudes from St. George the Hagiorite's Octoechos. This edition is submitted by musical notes according to the manuscripts written by St. Ekvtime the Confessor (Kereselidze).

The publication consists of two parts: the first part represents critical text of troparia on the Beatitudes along with footnotes in which the differences among manuscripts are displayed; the second part contains musical notes which will provide assistance to church chanters in order to perform these chants in the Divine Liturgy.

Also St. George the Hagiorite's bequeathal which precedes the text of St. George's Octoechos and the panegyric to St. George the Hagiorite written by an unknown author is being published in full size for the first time.

The following edition is meant for philologists, church chanters and readers, and also for a broader circle having an interest in ecclesiastical hymnography.

რედაქტორი: ედიშერ ჭელიძე ფილოლოგიის და თეოლოგიის დოქტორი
Editor: Edisher Chelidze Doctor of Philology and Theology

მუსიკალური რედაქტორი: მალხაზ ერქვანიძე სოციალური მეცნიერებების
დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი

Musical editor: Malkhaz Erkvanidze Doctor of Social Sciences, ethnomusicologist

რეცენზენტები: მაია რაფავა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
მაგდა სუხიაშვილი მუსიკოლოგიის დოქტორი

Reviewers: Maya Rafava Doctor of Philological Sciences
Magda Sukhiashvili Doctor of Musicology

კორექტორი: ილუმენი ლუკიანა ბუდაღაშვილი თეოლოგიის მაგისტრი
წალკის სოფელ სამეხის ჯვრის მამათა მონასტრის წინამძღვარი

Revisers: Hegumen Lukiane Budagashvili Master of Theology
Abbot of Cross Monastery in Tsalka, Sameba village

© გამომცემლობა „სულიერი ვენახი“

© წალკის სოფელ სამეხის ჯვრის მამათა მონასტერი

ISBN 978-9941-9676-0-3

შ ი ნ ა ა რ ს ი

• წინათქმა	9
• საღმრთო ლიტურგიაზე „მომივსენენის“ გალობის წესი	11
• ტექსტისათვის	13
• ნუსხათა ურთიერთმიმართება	17
• წმ. გიორგი მთაწმინდელის <i>ანდერძი</i>	21
• ტექსტი კრიტიკული აპარატით	37
• წმ. გიორგი მთაწმინდელისადმი მიძღვნილი შესხმა (ავტორი: ანონიმი)	71
სანოტო დანართი	
ვჰაჲ ა	
• კურიაკესა მომივსენენი, ვჰაჲ ა	77
• სსუანი აღდგომისანივე, ვჰაჲ ა	88
• ორშაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ ა	96
• სამშაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ ა	104
• ოთხშაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ ა	111
• ხუთშაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ ა	118
• პარასკევსა მომივსენენი, ვჰაჲ ა	126
• შაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ ა	133
ვჰაჲ ბ	
• კურიაკესა მომივსენენი, ვჰაჲ ბ	140
• სსუანი აღდგომისანი, ვჰაჲ ბ	149
• ორშაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ ბ	155
• სამშაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ ბ	162
• ოთხშაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ ბ	167
• ხუთშაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ ბ	172
• პარასკევსა მომივსენენი, ვჰაჲ ბ	177
• შაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ ბ	182
ვჰაჲ გ	
• კურიაკესა მომივსენენი, ვჰაჲ გ	187
• სსუანი აღდგომისანივე, ვჰაჲ გ	202
• ორშაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ გ	215
• სამშაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ გ	223
• ოთხშაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ გ	231
• ხუთშაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ გ	239
• პარასკევსა მომივსენენი, ვჰაჲ გ	247
• შაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ გ	255
ვჰაჲ დ	
• კურიაკესა მომივსენენი, ვჰაჲ დ	263
• ორშაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ დ	276
• სამშაბათსა მომივსენენი, ვჰაჲ დ	285

• ოთხშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ დ	294
• ხუთშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ დ	303
• პარასკევსა მომიჯსენენი, ვჰაჲ დ	312
• შაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ დ	321
• ვჰაჲ ა გუერდი	
• კურიაკესა მომიჯსენენი, ვჰაჲ ა გუერდი	330
• ორშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ ა გუერდი	341
• სამშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ ა გუერდი	348
• ოთხშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ ა გუერდი	355
• ხუთშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ ა გუერდი	362
• პარასკევსა მომიჯსენენი, ვჰაჲ ა გუერდი	369
• შაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ ა გუერდი	376
• ვჰაჲ ბ გუერდი	
• კურიაკესა მომიჯსენენი, ვჰაჲ ბ გუერდი	383
• ორშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ ბ გუერდი	392
• სამშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ ბ გუერდი	398
• ოთხშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ ბ გუერდი	404
• ხუთშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ ბ გუერდი	410
• პარასკევსა მომიჯსენენი, ვჰაჲ ბ გუერდი	416
• შაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ ბ გუერდი	422
• ვჰაჲ გ გუერდი	
• კურიაკესა მომიჯსენენი, ვჰაჲ გ გუერდი	428
• ორშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ გ გუერდი	441
• სამშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ გ გუერდი	450
• ოთხშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ გ გუერდი	459
• ხუთშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ გ გუერდი	468
• პარასკევსა მომიჯსენენი, ვჰაჲ გ გუერდი	477
• შაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ გ გუერდი	486
• ვჰაჲ დ გუერდი	
• კურიაკესა მომიჯსენენი, ვჰაჲ დ გუერდი	495
• ორშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ დ გუერდი	506
• სამშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ დ გუერდი	513
• ოთხშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ დ გუერდი	520
• ხუთშაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ დ გუერდი	527
• პარასკევსა მომიჯსენენი, ვჰაჲ დ გუერდი	534
• შაბათსა მომიჯსენენი, ვჰაჲ დ გუერდი	541
• ჰანგზე მარცვლები განაწილების შესახებ	548
• შენიშვნები მუსიკალური ნაწილისთვის	554
• დასდებელთა საძიებელი	557
• ქართული ანბანის საერთაშორისო ტრანსკრიფცია	561
• გამოყენებული ლიტერატურა	562

Contents

• Introduction	9
• The rule of chanting " Troparia on the Beatitudes " at the Divine Liturgy	11
• About the text	13
• Interrelation of the manuscripts	17
• St. George the Hagiorite's bequeathal	21
• The text with critical apparatus	37
• The panegyric to St. George the Hagiorite (author: unknown)	71
• Musical attachment	
• The First Tone	
• Sunday Troparia on the Beatitudes, the First Tone	77
• Another Canon of the Resurrection, the First Tone	88
• Monday Troparia on the Beatitudes, the First Tone	96
• Tuesday Troparia on the Beatitudes, the First Tone	104
• Wednesday Troparia on the Beatitudes, the First Tone	111
• Thursday Troparia on the Beatitudes, the First Tone	118
• Friday Troparia on the Beatitudes, the First Tone	126
• Saturday Troparia on the Beatitudes, the First Tone	133
• The Second Tone	
• Sunday Troparia on the Beatitudes, The Second Tone	140
• Another Canon of the Resurrection, The Second Tone	149
• Monday Troparia on the Beatitudes, The Second Tone	155
• Tuesday Troparia on the Beatitudes, The Second Tone	162
• Wednesday Troparia on the Beatitudes, The Second Tone	167
• Thursday Troparia on the Beatitudes, The Second Tone	172
• Friday Troparia on the Beatitudes, The Second Tone	177
• Saturday Troparia on the Beatitudes, The Second Tone	182
• The Third Tone	
• Sunday Troparia on the Beatitudes, The Third Tone	187
• Another Canon of the Resurrection, The Third Tone	202
• Monday Troparia on the Beatitudes, The Third Tone	215
• Tuesday Troparia on the Beatitudes, The Third Tone	223
• Wednesday Troparia on the Beatitudes, The Third Tone	231
• Thursday Troparia on the Beatitudes, The Third Tone	239
• Friday Troparia on the Beatitudes, The Third Tone	247
• Saturday Troparia on the Beatitudes, The Third Tone	255
• The Fourth Tone	
• Sunday Troparia on the Beatitudes, The Fourth Tone	263
• Monday Troparia on the Beatitudes, The Fourth Tone	276
• Tuesday Troparia on the Beatitudes, The Fourth Tone	285
• Wednesday Troparia on the Beatitudes, The Fourth Tone	294

• Thursday Troparia on the Beatitudes, The Fourth Tone	303
• Friday Troparia on the Beatitudes, The Fourth Tone	312
• Saturday Troparia on the Beatitudes, The Fourth Tone	321
• The Plagal First Tone	
• Sunday Troparia on the Beatitudes, The Plagal First Tone	330
• Monday Troparia on the Beatitudes, The Plagal First Tone	341
• Tuesday Troparia on the Beatitudes, The Plagal First Tone	348
• Wednesday Troparia on the Beatitudes, The Plagal First Tone	355
• Thursday Troparia on the Beatitudes, The Plagal First Tone	362
• Friday Troparia on the Beatitudes, The Plagal First Tone	369
• Saturday Troparia on the Beatitudes, The Plagal First Tone	376
• The Plagal Second Tone	
• Sunday Troparia on the Beatitudes, The Plagal Second Tone	383
• Monday Troparia on the Beatitudes, The Plagal Second Tone	392
• Tuesday Troparia on the Beatitudes, The Plagal Second Tone	398
• Wednesday Troparia on the Beatitudes, The Plagal Second Tone	404
• Thursday Troparia on the Beatitudes, The Plagal Second Tone	410
• Friday Troparia on the Beatitudes, The Plagal Second Tone	416
• Saturday Troparia on the Beatitudes, The Plagal Second Tone	422
• The Plagal Third Tone	
• Sunday Troparia on the Beatitudes, The Plagal Third Tone	428
• Monday Troparia on the Beatitudes, The Plagal Third Tone	441
• Tuesday Troparia on the Beatitudes, The Plagal Third Tone	450
• Wednesday Troparia on the Beatitudes, The Plagal Third Tone	459
• Thursday Troparia on the Beatitudes, The Plagal Third Tone	468
• Friday Troparia on the Beatitudes, The Plagal Third Tone	477
• Saturday Troparia on the Beatitudes, The Plagal Third Tone	486
• The Plagal Fourth Tone	
• Sunday Troparia on the Beatitudes, The Plagal Fourth Tone	495
• Monday Troparia on the Beatitudes, The Plagal Fourth Tone	506
• Tuesday Troparia on the Beatitudes, The Plagal Fourth Tone	513
• Wednesday Troparia on the Beatitudes, The Plagal Fourth Tone	520
• Thursday Troparia on the Beatitudes, The Plagal Fourth Tone	527
• Friday Troparia on the Beatitudes, The Plagal Fourth Tone	534
• Saturday Troparia on the Beatitudes, The Plagal Fourth Tone	541
• About positioning of syllables in the melody	548
• Notes on musical texts	554
• Index of Troparia	557
• International transcription of the Georgian alphabet	561
• Bibliography	562

წ ი ნ ა თ ქ მ ა

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია **წმ. გიორგი მთაწმინდელის** რედაქციის პარაკლიტონის „**მომიჯსენენი**“, რომელსაც ახლავს სანოტო დანართი **წმ. ექვთიმე აღმსარებლის** (კერესელიძე) მიერ შედგენილი ხელნაწერიდან – Q 674-დან.

ნაშრომში ვაქვეყნებთ ორ უაღრესად მნიშვნელოვან ძეგლს Ath. 45-დან: **წმ. გიორგი მთაწმინდელის ანდერძს** და ანონიმი ავტორის მიერ მიძღვნილ **შესხმას წმ. გიორგი მთაწმინდელისადმი**.

წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის პარაკლიტონის ტექსტი ჩვენამდე მრავალი ხელნაწერით არის მოღწეული. მათგან ყველაზე ვრცელია ავტოგრაფად მიჩნეული Ath. 45. ეს ხელნაწერი ერთადერთია, რომელშიც დაცულია **მთაწმინდელი მამის** მიერ შედგენილი **ანდერძი**. **ანდერძი** პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დავეყოთ: **პირველ ნაწილში** გადმოცემულია ცნობები პარაკლიტონის თარგმნისა და მისი შედგენის შესახებ, ხოლო **მეორე ნაწილი** წეს-განგებით მითითებებს შეიცავს.

წმ. გიორგი მთაწმინდელს ვრცელი პარაკლიტონის შედგენამდე **სტიქარონ-წარდგომების** კრებული აქვს ნათარგმნი: „პირველად **სტიქარონ-წარდგომები** ვთარგმნე სხუასა წიგნსა შინა და მერმე, ვინაჲთგან ბრძანებითა მამათა ჩემთა სულიერითაჲთა **სრულებით** კელ-გყავ თარგმნაჲ“. **სტიქარონ-წარდგომების** კრებულს ის „**მცირე წიგნს**“ უწოდებს. ამ წიგნის ავტოგრაფული ნუსხა ჩვენამდე არ არის მოღწეული. სხენებულ კრებულში უნდა ყოფილიყო დაცული „**მომიჯსენენის**“ მასალა, რომლის შესახებაც ცნობებს პარაკლიტონზე დართული **ანდერძის** მეშვეობით ვიგებთ. ჩვენ მიერ დამუშავებული „**მომიჯსენენის**“ ტექსტი იმ ხელნაწერების მასალას წარმოადგენს, რომლებშიც **წმ. გიორგი მთაწმინდელის** რედაქციის პარაკლიტონია დაცული.

„**მომიჯსენენი**“ ეწოდება დასდებლებს, რომლებიც იგალობება საღმრთო ლიტურგიაზე **მესამე ანტიფონის**, „**ნეტარებების**“ მუხლებს შორის. პარაკლიტონის წლიური საღვთისმსახურო ციკლის „**მომიჯსენენი**“ აგებულია **ცხრა ძლისპირზე**, რომლებიც მათზე დაქვემდებარებული დასდებლებისთვის მეტრულ-მელოდიურ მოდელს წარმოადგენენ. ძლისპირი რამდენიმე „**მუხლად**“ იყოფა. „**მუხლი**“ საგალობლის ყველაზე ვრცელი სტრუქტურული ერთეულია, რომელიც დასრულებული მუსიკალური შინაარსისაა. ხელნაწერებში „**მუხლები**“ ერთმანეთისგან გამიჯნულია შავი ან წითელი წერტილებით, რომლებსაც რიტმული პუნქტუაციის ნიშნები ეწოდება. რიტმული პუნქტუაციის ნიშანი გრაფიკულად გრამატიკული სასვენი ნიშნისგან განსხვავდება. წინამდებარე პუბლიკაციაში რიტმული პუნქტუაციის აღსანიშნავად დიდი ზომის შავ წერტილს ვიყენებთ Ath. 45-სა და A 93-ზე დაყრდნობით.

ათანასე არვანდ-ყოფილს, ოპიშის ხელნაწერის (A 93) გადამწერს „**მომიჯსენენის**“ ტექსტზე ამგვარი მითითება აქვს დართული: „ნებითა ღმრთისაჲთა **მომიჯსენენი** რვათა კმათანი **კურიაკეთა ორ-ორი წყვილი**, ხოლო **სხუათა დღეთა თითოჲ**, ვინაჲთგან კულა რომელთამე კმათა დიდრვანნი იყვნეს და რომელთამე წურილნი, ვითარიცა **ძლისპირი** მოუვიდოდა გინა უფალო დადატყავისაჲ, გინა გალობათაჲ, ყოვლადწმიდასა მამასა ჩუენსა **გიორგი მთაწმინდელსა** მას ზედაცა უთარგმნიან თუთოეულისა კმისანი და **ძლისპირსა ნუვინ იტყვს**, რამეთუ **ავაჯისათჳს** ოდენ ზის თავი, თუ არა სხუაჲ არაჲ აქუს კელი“. წინამდებარე მითითებით ცხადია,

რომ „**მომიჯსენენის**“ შემთხვევაში საკუთრივ **ძლისპირი არ იგალობება**, რადგან ის მხოლოდ „**აეაჯის**“ განსაზღვრისთვისაა მოცემული, რაც გულისხმობს იმას, რომ **ძლისპირის** ჰანგზე უნდა მოხდეს მასზე დაქვემდებარებული დასდებლების აყდერება, ხოლო **ძლისპირის** ტექსტი დაიტყვება.

ყოველი დღისთვის მოცემულია „**მომიჯსენენის**“ ერთი „**გალობა**“, რომელიც შედგება **ძლისპირისგან** და მასზე დაქვემდებარებული **დასდებლებისგან**. დასდებელთა რიცხვი 4-დან 8-მდე მერყეობს. პირველ სამ ხმაში კვირა დღეს ორი „**გალობა**“ მოცემული.

წმ. გიორგი მთაწმინდელის პარაკლიტონში შვიდეულის თითოეული დღის საგალობლები ამგვარადაა დალაგებული: **პვირა** – „**აღღგომისანი**“; **ორშაბათი** – „**მთაყარანგელოზთა, სინანულისანი და წმიდათანი**“; **სამშაბათი** – „**ნათლისმცემელისანი, სინანულისანი და წმიდათანი**“; **ოთხშაბათი** – „**ჯუარისანი და წმიდათანი**“; **ხუთშაბათი** – „**მოციქულთანი**“; **პარასკევი** – „**ჯუარისანი და წმიდათანი**“; **შაბათი** – „**წმიდათანი და სულისანი**“. აქედან გამომდინარე, **პარაკლიტონის „მომიჯსენენიც“** ამ შინაარსით არის დატვირთული. ამის შესახებ **ანდერძის** წეს-განგებით ნაწილში ამგვარი მითითება გვხვდება: „**შეუდგინეს მომიჯსენენი რვათა ვმათა ზედა ყოველთა დღეთა თუთო წყვილი და კურიაკეთა ზოგჯერ ორ-ორი წყვილი პარაკლიტონისა გუარსა ზედა**“. „**მომიჯსენენის**“ ყველა გალობა **სამების ან ღვთისმშობლის** დასდებლით ბოლოვდება.

ჩვენ „**მომიჯსენენის**“ კრიტიკული ტექსტის დასადგენად **შვიდი ხელნაწერი** გამოვიყენეთ: 1) A 93 – 1093 წ; 2) Jer. 119 – XIII-XIV სს; 3) Jer. 123 – XIII-XIV სს; 4) Sin. 77 – XIII-XIV სს; 5) Ath. 26 – XV-XVI სს; 6) Ath. 50 – XV-XVI სს; 7) A 304 – XII-XIII სს.

„**მომიჯსენენის**“ კრიტიკულად დადგენილ ტექსტს მივუსადაგეთ ჰანგი Q 674-დან. ხელნაწერი **წმ. ექვთიმე აღმსარებლის** (კერესელიძე) მიერაა შედგენილი. ხელნაწერში ასახულია ზეპირი ტრადიციით მოღწეული საეკლესიო გალობა, რომელიც XIX-XX საუკუნეებში ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე ჩაიწერა.

Q 674-ში „**მომიჯსენენის**“ მხოლოდ კვირა დღეების მასალაა წარმოდგენილი. თითოეული ხმის ფარგლებში მოცემულია ოთხი დასდებელი. ოთხივე დასდებლის ჰანგი იდენტურია, ვინაიდან ისინი ერთი ძლისპირის თარგს ექვემდებარებიან. ძლისპირის ტექსტს **წმ. ექვთიმე** არ იმოწმებს. ამის მიზეზია ლიტურგიკული ტრადიცია, რომლის თანახმად, „**მომიჯსენენის**“ შემთხვევაში, ძლისპირი მხოლოდ „**აეაჯის**“ განსაზღვრისთვისაა მოცემული, როგორც ეს აგრეთვე **ათანასე არვანდ-ყოფილს** აქვს აღნიშნული „**მომიჯსენენის**“ ტექსტზე დართულ მცირე წინასიტყვაში.

საღმრთო ლიტურგიაზე „მოძიესენის“ გალობის წესი

„მოძიესენის“ გალობის შესახებ მითითებები გვხვდება შემდეგ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში: **პარაკლიტონში, თვენში, მარხვანსა და ზატიკში.** „მოძიესენის“ საღმრთო ლიტურგიაზე იგალობება იმ შემთხვევაში, როდესაც სრულდება **გამომსახველობითი აღსავლები.** გამომსახველობით აღსავლებს წარმოადგენს „აკურთხევის“ (102-ე ფსალმუნი), „აქებსი“ (145-ე ფსალმუნი) და „ნეტარებები“. „მოძიესენის“ ჩაერთვის **მესამე აღსავლის, „ნეტარებების“** მუხლებს. „ნეტარებები“ სულ **თორმეტ მუხლად** არის დაყოფილი. აქედან გამომდინარე, „მოძიესენის“ მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს **თორმეტი.**

სსენებულის აღსავლები იგალობება შემდეგ შემთხვევებში:

1. **შაბათ-კვირას,** თუ ამ დღეებში არ მოიწევა საუფლო დღესასწაული (ჯვართამაღლება, შობა, ნათლისღება, ბზობა, აღდგომა, ამაღლება, სულთმოფენობა და ფერისცვალება).
2. **უდიდეს დღესასწაულებზე** (მაგ., ღვთისმშობლის დღესასწაულებზე, რომლებიც **ათორმეტთაგანის** რიცხვში შედის: ხარება, ღვთისმშობლის მიძინება, ღვთისმშობლის შობა და ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება).
3. **ათორმეტთაგანი დღესასწაულების** წინა და შემდგომ პერიოდებში და მათ წარგზავნაზე. აქ იგულისხმება **თომას** კვირიდან **ყოველთა წმიდათა** კვირიაკემდე პერიოდიც.
4. **სადაც დღეებში,** როდესაც მოიწევა **ღამისთვის** (V რანგის), **სადიდებლიანი** (IV რანგის) ან **დიდებამალაღიანის** (III რანგის) მსახურებები.
5. **სადაც დღეებში,** როდესაც მოიწევა „**ექვსიანის**“ მსახურება (II რანგი) და თვენში მითითებულია „**მოძიესენის**“ მუხლები.

დანარჩენ შემთხვევებში იგალობება ან **ყოველდღიური აღსავლები** (კვირის შვიდეულის იმ დღეებში, როდესაც არ მოიწევა ზემოაღნიშნული შემთხვევები), ან **სადღესასწაულო აღსავლები** (მხოლოდ საუფლო დღესასწაულებზე).

„მოძიესენის“ ცალკე ჟანრად მხოლოდ **პარაკლიტონშია** მოცემული. **თვენში** და **მარხვან-ზატიკში** ის ცალკე ჟანრად გამოყოფილი არაა და საკუთრივ „მოძიესენის“ ადგილას საციკრო კანონთა **მესამე** და **მეექვსე,** ან მხოლოდ **მესამე ოდის ტროპარების** გალობაა მითითებული. ჩვენ წინამდებარე გამოცემაში მხოლოდ **პარაკლიტონის „მოძიესენის“** გალობის შემთხვევებს განვიხილავთ.

საკუთრივ პარაკლიტონის „მოძიესენის“ იგალობება შემდეგ შემთხვევებში:

- ა. **კვირას,** თუ ამ დღეებში არ მოიწევა საუფლო დღესასწაული (ჯვართამაღლება, შობა, ნათლისღება, ბზობა, აღდგომა, ამაღლება, სულთმოფენობა და ფერისცვალება).
- ბ. **შაბათს,** თუ არ მოიწევა **ღამისთვის** (V რანგის), **სადიდებლიანი** (IV რანგის) ან **დიდებამალაღიანის** (III რანგის) მსახურებები და არ არის ათორმეტთაგანი დღესასწაულის წინა ან შემდგომი პერიოდი.
- გ. **სადაც დღეს,** როდესაც მოიწევა „**ექვსიანის**“ მსახურება (II რანგი) და თვენში მითითებულია „**მოძიესენის**“ მუხლები, ამასთან არ არის ათორმეტთაგანი დღესასწაულის წინა ან შემდგომი პერიოდი.

საყურადღებოა, რომ როდესაც **კვირა** დღეს მოიწევა **მცირე წმიდის** (I რანგის) მსახურება, „მოძიესენის“ მხოლოდ **პარაკლიტონიდან** იგალობება. როდესაც **კვირა** დღეს

უფრო მაღალი რანგის მსახურება ტარდება, მაშინ პარაკლიტონის „მომიჯსენენთან“ ერთად იგალობება თვენის ტროპარებიც საცისკრო კანონიდან.

რაც შეეხება „მომიჯსენენის“ დასდებლების რაოდენობას, კერძოდ, რამდენი უნდა ვიგალობოთ პარაკლიტონიდან და რამდენი თვენიდან, ამასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ დამუშავებულ ხელნაწერებში კონკრეტული მითითება არ გვაქვს. შესაბამისად ვითვალისწინებთ და ვეყრდნობით დღევანდელ საღვთისმსახურო პრაქტიკაში არსებულ ლიტურგიკულ წეს-განგებებს¹.

¹ დაწერილებით ამის შესახებ იხილეთ შემდეგ გამოცემებში: „ლიტურგიკული კრებული № 1“, თბილისი, 1995; „ლიტურგიკული კრებული № 2“, თბილისი, 1996.

ტექსტიკის

„*მომიჯსენენის*“ კრიტიკული ტექსტის დასადგენად ჩვენ გამოვიყენეთ შვიდი ხელნაწერი, რომლებიც **წმ. გიორგი მთაწმინდელის** რედაქციის **პარაკლიტონს** წარმოადგენს. ლიტერების მითითება არათანმიმდევრულია, რისი მიზეზიც შემდეგში მდგომარეობს: ჩვენი საკვლევი საგნის მიზანია **წმ. გიორგი მთაწმინდელის** რედაქციის **პარაკლიტონის** ყველა ძირითადი ნუსხის გამოკვლევა და მათ საფუძველზე სრული კრიტიკული ტექსტის დადგენა. ამ მიმართულებით უკვე არსებობს ლიტერთა თანმიმდევრული მითითება: მაგ., A ლიტერი – Ath. 45, B ლიტერი – A 93, C ლიტერი – Sin. 96, D ლიტერი – Ath. 24 და ა. შ. ვინაიდან **პარაკლიტონის** ყველა ხელნაწერი არ შეიცავს „*მომიჯსენენის*“ ტექსტს, ჩვენ წინამდებარე პუბლიკაციაში მხოლოდ იმ ხელნაწერთა ლიტერებს ვუთითებთ, რომლებშიც დაცულია „*მომიჯსენენის*“ ტექსტი. შესაბამისად ლიტერთა თანმიმდევრობაში პირველი ადგილი უკავია **B** ლიტერს, რადგანაც Ath. 45-ში (A ლიტერი) „*მომიჯსენენი*“ არ გვხვდება.

1. **B** ლიტერით აღნიშნული გვაქვს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A კოლექციის ხელნაწერი, №93. ის დათარიღებულია 1093 წლით. გადამწერი: ათანასე არვანდ-ყოფილი (206r). ადგილი: თბილისის ნათლისმცემლის მონასტერი (206r-v). ხელნაწერს ახლავს ანდერძი, საიდანაც ირკვევა, რომ მისი დედანი იყო **წმ. გიორგი მთაწმინდელის** მიერ შედგენილი **პარაკლიტონი**: „დედაა გიორგი მთაწმინდელისა ნუსხისაგან დაწერილი მქონდა, მაგრა ეზომ წურილად ნაწერი იყო, რომელ კაცისა თავისა თმასა ჰგუანდა და მე კაცი ვიყავ მოდღვენებული“¹. A 93-ში მხოლოდ პირველი ოთხი ხმის მასალაა დაცული. „*მომიჯსენენის*“ ტექსტი მოთავსებულია 178r-196v გვერდებზე².

2. **E** ლიტერით აღნიშნული გვაქვს იერუსალიმური კოლექციის ხელნაწერი, №119. ის მიეკუთვნება XIII-XIV სს-ებს. გადამწერი: ანონიმი და სიმეონი (324v). ამ ხელნაწერში მხოლოდ პირველი ოთხი ხმის მასალაა მოცემული. „*მომიჯსენენის*“ ტექსტი მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე:

ჟმად ა.
კვირა: 12v-13v. ორშაბათი: 23v-24r. სამშაბათი: 36r-36v. ოთხშაბათი: 47r. ხუთშაბათი: 63r-63v. პარასკევი: 63v-64r. შაბათი: 77r.

ჟმად ბ.
კვირა: 89rB-89vB. ორშაბათი: 100r. სამშაბათი: 112r. ოთხშაბათი: 123r. ხუთშაბათი: 131r. პარასკევი: 138v. შაბათი: 151r.

ჟმად გ.
კვირა: 160v-161r. ორშაბათი: 172r. სამშაბათი: 182v-183r. ოთხშაბათი: 191r. ხუთშაბათი: 198r-198v. პარასკევი: 206r-206v. შაბათი: 220v-221r.

ჟმად დ.
კვირა: 232r-232v. ორშაბათი: 245v-246r. სამშაბათი: 256v-257r. ოთხშაბათი: 267r-267v. ხუთშაბათი: 276r. პარასკევი: 287r-287v. შაბათი: 299v-300r³.

1 იხ. A 93 – 206v.

2 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი I, შეადგინეს და დასაბუჭდად მოამზადეს: თ. ბრეგვაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1973, გვ. 332-347.

3 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, შეადგინეს მაია კარანაძემ, ვლადიმერ კეკელიამ, ლელა შათირიშვილმა და ნესტან ჩხიკვაძემ, ნესტან ჩხიკვაძის რედაქციით, თბილისი, 2018, გვ. 135.

3. **F** ლიტერით აღნიშნული გვაქვს იერუსალიმური კოლექციის ხელნაწერი №123. Jer. 123 დათარიღებულია XII-XIII სს-ით. ეს ხელნაწერი მხოლოდ **ოთხი გვერდითი ხმის** მასალას შეიცავს. „**მომიჯსენენის**“ ტექსტი დაცულია 47vB-56v გვერდებზე¹.

4. **M** ლიტერით აღნიშნული გვაქვს სინური კოლექციის ხელნაწერი, №77. ის დათარიღებულია XIII-XIV სს-ით. Sin. 77 წარმოადგენს **წმ. გიორგი მთაწმინდელის** რედაქციის **პარაკლიტონის** მცირე ფორმის საგალობლების – „**სტიქარონ-წარღვომათა**“ კრებულს. ახასიათებს კვირა, შაბათი და სადაგი დღეების მკაცრად განსაზღვრული შედგენილობა, რაც თითქმის უცვლელად მეორდება ყველა ხმაში.

კვირას: „**უფალო ღაღადყავსა**“, „**სტიქარონი**“, „**დიღებაჲ**“, „**წარღვომანი**“, „**ღმრთისმშობლისაჲ**“, „**აღსაყაღნი დიდებითურთ**“, „**ფსალმუნი**“, „**აქებლითი**“, „**წმიდაარსნი**“.

შაბათს: „**სტიქარონნი წმიდათანი**“, „**ღმრთისმშობლისანი**“, „**სულისანი**“, „**წარღვომანი**“, „**ღმრთისმშობლისაჲ**“, „**სულისანი**“, „**აქებლითი**“, „**დიღებაჲ**“, „**აღვიესენითი**“.

ღანარჩენ დღეებში: „**სტიქარონნი**“, „**წარღვომანი**“, „**ღმრთისმშობლისაჲ**“, „**აღვიესენითი**“. ხელნაწერი შეიცავს **რვავე ხმის „მომიჯსენენს“**, რომლებიც დაცულია 2v-44v გვერდებზე².

5. **N** ლიტერით მითითებული გვაქვს ათონური კოლექციის ხელნაწერი, №26. Ath. 26 თარიღდება XV-XVI სს-ით. ამ ხელნაწერში **კვირა** დღეების მასალა განცალკევებულია **საღამო** დღეების მასალისგან. თავიდან **რვავე ხმის კვირა** დღეების მასალაა მოცემული. აქ ხელნაწერს აკლია **მეოთხე ხმის კვირა** დღის „**მომიჯსენენი**“. **საღამო** დღეებს კი აკლია **მეორე ხმის** მასალა ოთხშაბათიდან შაბათის ჩათვლით, და მთლიანად – **მესამე და მეოთხე ხმების საღამო** დღეების „**მომიჯსენენი**“. ეს მონაცემები შესაბამის სქოლიოებში გვაქვს მითითებული. „**მომიჯსენენის**“ ტექსტი შემდეგ გვერდებზეა განლაგებული:

ჴმაჲ ა.

კვირა: 15r-15v. ორშაბათი: 119r. სამშაბათი: 127v. ოთხშაბათი: 136v. ხუთშაბათი: 144v. პარასკევი: 154r. შაბათი: 163r.

ჴმაჲ ბ.

კვირა: 29v-30r. ორშაბათი: 172r. სამშაბათი: 182r.

ჴმაჲ გ.

კვირა: 41v.

ჴმაჲ დ.

კვირა: 53v.

ჴმაჲ ა **ბუერლი**³.

კვირა: 66v. ორშაბათი: 184v. სამშაბათი: 192v. ოთხშაბათი: 200v. ხუთშაბათი: 207v. პარასკევი: 214v. შაბათი: 223v.

¹ „ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ“, გვ. 135.

² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვეთი III, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: რ. გვარამიამ, ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, ლ. ჯღამიამ, თბილისი, 1987, გვ. 150-169.

³ „**ჴმაჲ ა გუერლი**“ – პირველი ხმის გვერდითი ხმა, იგივე მესუთე ხმა. საგალობლის ხმაზე ამგვარ მითითებებს მივმართავენ დანარჩენი გვერდითი ხმების აღსანიშნავადაც („**ჴმაჲ ბ გუერლი**“ – მეორე ხმის გვერდითი ხმა, იგივე მეექვსე ხმა; „**ჴმაჲ გ გუერლი**“ – მესამე ხმის გვერდითი ხმა, იგივე მეშვიდე ხმა; „**ჴმაჲ დ გუერლი**“ – მეოთხე ხმის გვერდითი ხმა, იგივე მერვე ხმა). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოყენებულია გვერდითი ხმის, ანუ პლაგალური ხმის (ბერძ. **πλάγιος ἦχος**) ცნებასთან დაკავშირებული სამუსიკო ტერმინის ძველი ქართული ფორმა „**ბუერლი**“. ამ ფორმით იხმარებოდა იგი შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში, მათ შორის, წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ შედგენილ ლიტურგიკულ-პიმნოგრაფიულ კრებულებში.

ჟმად ბ ბუერლი.

კვირა: 81v. ორშაბათი: 233r. სამშაბათი: 243r. ოთხშაბათი: 251v. ხუთშაბათი: 261r. პარასკევი: 270r. შაბათი: 278v.

ჟმად ბ ბუერლი.

კვირა: 94r. ორშაბათი: 286r. სამშაბათი: 296r. ოთხშაბათი: 304r. ხუთშაბათი: 313r. პარასკევი: 322v. შაბათი: 331r.

ჟმად ლ ბუერლი.

კვირა: 110r. ორშაბათი: 339v. სამშაბათი: 347v. ოთხშაბათი: 356r. ხუთშაბათი: 366v. პარასკევი: 375v. შაბათი: 388v¹.

6. O ლიტერით მითითებული გვაქვს ათონური კოლექციის ხელნაწერი, №50. Ath. 50 თარიღდება XV-XVI სს-ით. ის გადაწერილია Ath. 26-ის მეორე გადამწერის მიერ და წარმოადგენს მის ნაწილს. მასში მოღწეულია **მეორე, მესამე და მეოთხე სმის** მასალა. **მეორე სმა** იწყება **ოთხშაბათი დღით** (აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ადგილას წყდება ტექსტი Ath. 26-ში). **კვირა დღის** საგალობლები Ath. 26-შია დაცული და შესაბამისად ისინი Ath. 50-ში აღარ მეორდება. „**მოძიესენენის**“ ტექსტი შემდეგ გვერდებზეა განლაგებული:

ჟმად ბ.

ოთხშაბათი: 2v. ხუთშაბათი: 11v. პარასკევი: 20v. შაბათი: 28r-28v.

ჟმად ბ.

ორშაბათი: 36v-37r. სამშაბათი: 46r-46v. ოთხშაბათი: 56r-56v. ხუთშაბათი: 65v-66r. პარასკევი: 75v-76r. შაბათი: 84r-84v.

ჟმად ლ.

ორშაბათი: 95r-95v. სამშაბათი: 104v-105r. ოთხშაბათი: 113r-113v. ხუთშაბათი: 120r. პარასკევი: 127v-128r. შაბათი: 135r-135v².

7. P ლიტერით აღნიშნული გვაქვს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A კოლექციის ხელნაწერი, №304. ის დათარიღებულია XII-XIII სს-ით. A 304 წარმოადგენს მცირე გულანს³. შეიცავს **რვავე სმის კვირა დღის** მასალას. „**მოძიესენენის**“ ტექსტი მოთავსებულია 70v-73r გვერდებზე⁴.

„**მოძიესენენის**“ ტექსტისთვის **ჰანგი** ავიღეთ **წმ. ექვთიმე აღმსარებლის** (კერესელიძე) ხელნაწერიდან – Q 674-დან⁵. კრებული ამგვარადაა დასათაურებული: „**მღვდელთ-მთავართათვის და მღვდელთათვის, სამი წირვის წესი თვისის სრული წლის ყოველ-გვარი დღესასწაულთა საგალობლებით**“. „**მოძიესენენი**“ მოთავსებულია 693-736 გვერდებზე. ხელნაწერს ახლავს ვრცელი ანდერძი (189-191 გვ.)

1 „ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ“, გვ. 199.

2 „ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ“, გვ. 200.

3 გულანი ეწოდება კრებულს, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა საღვთისმსახურო წიგნი.

4 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი I₄, შეადგინეს და დასაბუჭდად მოამზადეს: თ. ბრეგვაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1985, გვ. 14-15.

5 ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი, **წმ. ფილიმონ მგალობლის** (ქორიძის) და **წმ. ექვთიმე აღმსარებლის** (კერესელიძის) სანოტო ხელნაწერების მიხედვით, შემდგენლები: ვაჟა გვახარია, დავით შულღიაშვილი, ნინო რაზმაძე, თბილისი, 2013, გვ. 36-38.

და მრავალი მინაწერი. კრებულის შედგენაზე მუშაობის დასრულებას წმ. ექვთიმე ამგვარი სიტყვებით აღნიშნავს: „მადლითა და შეწევნითა ღვთისათა დაფასრულე წიგნიცა ესე. მრავლის წლიდგან ყოველგვარად ნაზრუნევი და ნაღვაწი... **და ან უაღრესი ჩემს საყვარელ სამშობლო მართლმადიდებელ ეპისკოპოსს, ერთა, ქალაქთა და მგალობელთა, სადიდებელად ღვთისა, ამინ 1891–1931 წელი. ევთიმე**“ (838 გვ.).

წმ. გიორგი მთაწმინდელის ანდერძი და ანონიმი ავტორის მიერ **მისდამი** მიძღვნილი **შესხმა** ერთადერთ ხელნაწერში, Ath. 45-ია დაცული. ჩვენ ამ ორ უბრწყინვალეს ძეგლს მითითებული ხელნაწერიდან ვაქვეყნებთ. ტექსტები ხელნაწერში შემდეგ გვერდებზეა მოთავსებული: **ანდერძი** – 2v-8v, **შესხმა** – 311r¹.

წინამდებარე პუბლიკაციაში შემდეგი პირობითი ნიშნები გვაქვს გამოყენებული:

სიტყვის კლება: -

სიტყვის მატება: +

სიტყვის ჩანაცვლება:]

სიტყვების ადგილმდებარეობის გადანაცვლება: ~

სიტყვების აღდგენა: []

დასდებლის კლება: დასაწყისი სიტყვები, მრავალწერტილი და - .

ჩვენი კომენტარი: * .

რიტმული პუნქტუაცია (მელოდიური მუხლის დასასრული): • .

ძლისპირები უმეტეს შემთხვევაში შემოკლებულადაა მითითებული. ჩვენ ყოველ მათგანს სრული სახით ვავსებთ. ჩვენ მიერ აღდგენილი **ძლისპირები** ჩასმული გვაქვს ოთხკუთხედ კავებში ([]), დახრილი და განსხვავებული ფონტით. **ძლისპირების** ტექსტებს ვიმოწმებთ შემდეგი ხელნაწერებიდან: Sin. 3, Sin. 5, Sin. 13 და სხვ.

სანოტო დანართში გამოყენებული გვაქვს შემდეგი შემოკლებები:

ქსგ. – ქართული საეკლესიო გალობა.

გ. კ. – გამშვენებული კილო.

არტ. – არტემ ერქომაიშვილი.

თერთმეტი მარგალიტი – ქართული გალობა. თერთმეტი მარგალიტი. დიმიტრი პატარავა, ვარლამ სიმონიშვილი, არტემ ერქომაიშვილი. საარქივო ჩანაწერი, 1949 (კომპაქტდისკი). თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი, 2004².

¹ Ath. 45-ის აღწერილობა იხილეთ შემდეგ გამოცემაში: „ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ“, გვ. 194.

² სანოტო დანართში შემოკლებების მითითებისას ვეყრდნობით შემდეგ გამოცემას: „ქართული საეკლესიო გალობა“, VIII ტომი, კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მალხაზ ერქვანიძემ, თბილისი, 2017.

ნ უ ს ხ ა თ ა უ რ თ ი ე რ თ მ ი მ ა რ თ ე ბ ა

ხელნაწერთა შესწავლა გვიჩვენებს, რომ ძირითად ხელნაწერში (A 93) დაცულმა „*მომიჯსენენის*“ ტექსტმა, რომლის დედანიც წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ შედგენილი პარაკლიტონი იყო, შემდგომში განიცადა გარკვეული ცვლილებები, რომელთა შორის ხაზგასასმელია შემდეგი:

ა. დასდებლების კლება-გამოტოვება.

A 93-ში პირველ სამ ხმაში (ხმა ა, ხმა ბ, ხმა გ) სადაგი დღეების „*ლიღების*“ დასდებელი შემოკლებული სახითაა მოცემული და მათზე გადამწერის მითითებაა დართული. მაგ.: ხმა ა – *მამასა თაყუანის... ივივი*, ან – *ჰჰჰანამთ სნარი*; ხმა ბ – *მამასა მხოლო... ისერა ვამომთ სნარი*, ან – *ვამო სნარი*. დანარჩენ ხელნაწერებში დასდებელი *მამასა თაყუანის-ესცემღეთ...* სადაგ დღეებში, პირველი სამი ხმის ფარგლებში, არც შემოკლებული და არც სრული სახით თითქმის არ გვხვდება. გამონაკლისს წარმოადგენს Ath. 26, სადაც პირველი ხმის ორშაბათის „*მომიჯსენენში*“ ეს დასდებელი სრული სახით არის მოცემული, თან მას ახლავს მითითება „*ლიღებამ*“, რომელიც არ აქვს A 93-ს.

არის ერთი შემთხვევა, როდესაც დიდების დასდებელი *მამასა თაყუანის-ესცემღეთ...* A 93-ში პირველი ხმის ხუთშაბათ დღეს სრულად არის მოცემული. ის აგრეთვე სრული სახით გვხვდება Jer. 119-სა და Sin. 77-შიც, ხოლო გამოტოვებულია Ath. 26-ში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს დასდებელი შინაარსობრივად სხვაობს კვირა დღის დასდებლისგან.

არის შემთხვევები, როცა დასდებელი გამოტოვებულია. მაგ.: Ath. 26-ს მეორე ხმის კვირა დღის „*მომიჯსენენში*“ აკლია ორი დასდებელი: *ფოფოხეთისა შეუფებაჲ...* და *ღედანი ცისკარს...*, ხოლო მეექვსე ხმის კვირა დღის „*მომიჯსენენში*“ აკლია ერთი – *ქუესკენელისა იგი ბტენი...*

კვირა დღეს A 93-ს პირველ სამ ხმაში დამატებით ახლავს „*მომიჯსენენის*“ სხვა „*გალობა*“, რომელიც არც ერთ სხვა ხელნაწერში არ მეორდება. ოდნავ განსხვავებული ვითარებაა კვირა დღის მესამე ხმის „*მომიჯსენენში*“: A 93-ში დაცული „*მომიჯსენენის*“ რიგით პირველი გალობა „*მომიქსენენსა ვამა ალგომისანი. ვამა ბ. ვამა-ვეყა შენდამი...*“ გვხვდება Jer. 119-ში, ხოლო რიგით მეორე „*სხჰანი ალგომისანიჲ. ქერობინთა მიერ...*“ – Ath. 26-ში.

ყველა ამგვარი განსხვავება კრიტიკული ტექსტის შესაბამის სქოლიოებში გვაქვს ასახული.

ბ. დასდებლების ურთიერთჩანაცვლება.

დასდებლის სხვა დასდებით ჩანაცვლების მხოლოდ ორი შემთხვევა ფიქსირდება: A 93-ში პირველი ხმის ორშაბათი დღის პირველ დასდებლად მოცემულია *ტამისა მიერ განღენა...*, რომელიც Ath. 26-ში ჩანაცვლებულია პირველი ხმის კვირა დღის პირველი დასდებით *ავამაკსა ჯელნი სისსლითა...*

A 304-ს მესამე გვერდითი ხმის პარასკევი დღის პირველი დასდებელი *განკურნებად აღამის წყლოულებასა...* კვირა დღის რიგით დასდებლად აქვს მოცემული.

ბ. შვიდეულის დღეთა მითითებების სახესხვაობანი.

A 93-ში „*მომიჯსენენის*“ მითითება შვიდეულის დღეების სახელწოდებებით ხდება. მაგ.: „*ორშაბათისა. შენ სიტყუაჲ...*“, „*სამშაბათისა. შენ, ყოვლადწმიდაო ქალწულო...*“ და ა.შ.

Ath. 26-ში შვიდეულის დღეების დასახელება ძირითად შემთხვევაში ჩანაცვლებულია სიტყვით „**მომიჯსენენი**“. მაგ.: „**მომიჯსენენი. შენ სიტყუად...**“, „**მომიჯსენენი. შენ, ყოვლადწმიდო ქალწულო...**“ და ა.შ.

ამგვარი მონაცვლეობა Ath. 26-ისთვის ბუნებრივია, რისი მიზეზიც იმაში მდგომარეობს, რომ მას, A 93-ისგან განსხვავებით, „**მომიჯსენენის**“ ტექსტი ცალ-ცალკე, პარაკლიტონის კონკრეტულ მონაკვეთებში აქვს წარმოდგენილი (მაგ., კვირას პირველ სმაში „**აქებდითსა ზედა დასდებლების**“ შემდეგ წარმოდგენილია მხოლოდ პირველი სმის კვირის „**მომიჯსენენი**“, ორშაბათს პირველ სმაში „**აღვიესენითსა ზედა დასდებლების**“ შემდეგ მოცემულია მხოლოდ პირველი სმის ორშაბათის „**მომიჯსენენი**“ და ა.შ.). ამიტომ, Ath. 26-ში სიტყვა „**მომიჯსენენის**“ მითითების გარეშე მგალობელთათვის შეიძლება გაუგებარი ყოფილიყო ამ დასდებელთა ჟანრი. რაც შეეხება A 93-ს, მის გადამწერს „**მომიჯსენენი**“ ხელნაწერის ბოლო ნაწილში აქვს დართული, ამიტომ აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა და ზედმეტიც კი იყო, ყოველ ახალ გალობაზე კვლავ გაეკეთებინა წარწერა „**მომიჯსენენი**“.

გვაქვს იმგვარი შემთხვევებიც, როდესაც მითითებულია შვიდეულის დღეც და საგალობლის ჟანრიც. მაგ., Ath. 26: „**სამშაბათსა მომიჯსენენი. ქრისტე, ღმერთი ჩემი...**“, „**შაბათსა მომიჯსენენი. ამაღლდა ზ...**“, მსგავსადგეა Jer. 119-ში.

ზოგიერთ შემთხვევაში Ath. 26-ში ძლისპირი არ არის მითითებული. მაგ., **მერვე სმაში** პირდაპირ, **ძლისპირის** გარეშე წერია სათაურები: **ოთხშაბათი, ხუთშაბათი** და სხვა. ყველა ამგვარი განსხვავება კრიტიკული ტექსტის შესაბამის სქოლიოებში გვაქვს ასახული.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ბოლო ორ დასდებელზე მითითება „**ღიღებამ**“ და „**ან ღამ**“ გვხვდება მხოლოდ A 304-სა და Ath. 26-ში.

A 304-ში „**ღიღებამ**“ და „**ან ღამ**“ მხოლოდ პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე გვერდითი სმების კვირა ღღეს არის მითითებული, ხოლო მეოთხე სმის კვირა ღღეს მხოლოდ „**ან ღამ**“ არის დართული.

Ath. 26-ს მხოლოდ პირველი სმის ორშაბათს და მეოთხე გვერდითი სმის კვირა ღღეს აქვს მითითება „**ღიღებამ**“, ხოლო მითითება „**ან ღამ**“ ამ ხელნაწერში არ გვხვდება.

ჩვენ ამ ორ ხელნაწერზე დაყრდნობით ყველგან ვსვამთ ბოლო ორი დასდებლის განმსაზღვრელ ნიშანს.

„**ღიღებამ**“ მიუთითებს, რომ მის ქვემოთ მოთავსებული დასდებელი იგალობება ჩასართავის – ღიღებად მამასა და პესა და წმიდასა სულისა – გალობის შემდეგ, ხოლო „**ან ღამ**“ მიუთითებს, რომ მის ქვემოთ მოთავსებული დასდებელი იგალობება ჩასართავის – აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე. ამენ. – გალობის შემდეგ.

ღ. სიტყვების ურთიერთჩანაცვლება.

სხვადასხვა ხელნაწერის დასდებლებს შორის სიტყვათა ურთიერთჩანაცვლებაც გვხვდება. მაგ., A 93-ში მესამე სმის ხუთშაბათის დასდებელში **სატანფეველთა სასტიკებად...** მოცემული სიტყვა „**ზეციით**“ Jer. 119-სა და Ath. 50-ში ჩანაცვლებულია სიტყვით „**ზეგარდამო**“:

A 93: **სატანფეველთა სასტიკებად • სიმჯნით დაითმინეთ, მარტკლნო ყოვლადქებულნო, • ცუარი მადლისად ზეციით შეიწყნარეთ • და ვითარცა ქრისტეს მსახურნი, • მარადის განჰკურნებთ საღმობათა, • ამისთვის სარწმუნოებით • გადიდებთ, ყოვლადსანატრელნო.**

Jer. 119, Ath. 50: **სატანფეველთა სასტიკებად • სიმჯნით დაითმინეთ, მარტკლნო ყოვლადქებულნო, • ცუარი მადლისად ზეგარდამო შეიწყნარეთ • და ვითარცა ქრისტეს**

მსახურნი, • მარადის განჰკურნებთ საღმობათა, • ამისთვის სარწმუნოებით • გადიდებთ, ყოვლადსანატრელნი.

მეექვსე გვერდითი ხმის კვირის დასდებელში **მენელსაცხებლენი საფლავად მოვიდეს...** Sin. 77-ში, Ath. 26-სა და A 304-ში გვაქვს სიტყვა „სოფელი“, ხოლო Jer. 123-ში – „ქუეყანა“:

Sin. 77, Ath. 26, A 304: მენელსაცხებლენი • საფლავად მოვიდეს • და ანგელოზისად ესმა ხარებაჲ, • ღალადებდა: • ქრისტე ღმერთი აღდგა • და განანათლა ყოველი სოფელი.

Jer. 123: მენელსაცხებლენი • საფლავად მოვიდეს • და ანგელოზისად ესმა ხარებაჲ, • ღალადებდა: • ქრისტე ღმერთი აღდგა • და განანათლა ყოველი ქუეყანა.

მეოთხე გვერდითი ხმის კვირის დასდებელში **სიმტკიცე სიკუდილისად...** Sin. 77-ში, Ath. 26-სა და A 304-ში გვაქვს სიტყვა „ღმრთივბრწყინვალითა“, რომელიც Jer. 123-ში ჩანაცვლებულია სიტყვებით „სოფლის მაცხოვარ“:

Sin. 77, Ath. 26, A 304: სიმტკიცე სიკუდილისად ღღეს ღაეც, ქრისტე, • აღდგომითა შენითა ღმრთივბრწყინვალითა • და განათავისუფლენ • სულნი დაშფილნი, • კაცთმოყუარე, დიდებაჲ შენდა.

Jer. 123: სიმტკიცე სიკუდილისად ღღეს ღაეც, ქრისტე, • აღდგომითა შენითა, სოფლის მაცხოვარ, • და განათავისუფლენ • სულნი დაშფილნი, • კაცთმოყუარე, დიდებაჲ შენდა.

მთლიანი ფრაზის ჩანაცვლების შემთხვევებშიც გვხვდება. A 93-ში მეორე ხმის ორშაბათის პირველი დასდებლის ბოლო ფრაზა „გუჯსნენ საბრვეთაგან ეშმაკისათა“ Jer. 119-სა და Ath. 26-ში ჩანაცვლებულია ფრაზით „მის თანა ღირს-გუყვენ სასუფეველსა შენსა“:

A 93: მომიჯსენენ, მოწყალო, ჩუენცა, • ვითარცა მოიჯსენე ავაშაკი • ზეცათა სასუფეველსა • და გუჯსნენ საბრვეთაგან ეშმაკისათა.

Jer. 119, Ath. 26: მომიჯსენენ, მოწყალო, ჩუენცა, • ვითარცა მოიჯსენე ავაშაკი • ზეცათა სასუფეველსა • და მის თანა ღირს-გუყვენ სასუფეველსა შენსა.

A 93-ში მეოთხე ხმის ორშაბათის მეორე დასდებელში ფრაზა „მომიჯსენეს მჯსნელმან“ Jer. 119-ში ჩანაცვლებულია სიტყვებით „ღირს-ვიქმნეთ ზეცათა“:

A 93: ქერობინ-სერაბინნო, • ეელმწიფებანო, მთავარანგელოზნო, • საყდარნო, უფლებანო, • ძალნო და წმიდანო ანგელოზნო, • და მთავრობანო ძალაღნო, • წინაშე მეუფისა მდგომარენო, • ცოდვათა მოტევებაჲ • და კეთილი ცხორებაჲ • ითხოვეთ ჩუენთვის, • რაითა მომიჯსენეს მჯსნელმან სასუფეველსა.

Jer. 119: ქერობინ-სერაბინნო, • ეელმწიფებანო, მთავარანგელოზნო, • საყდარნო, უფლებანო, • ძალნო და წმიდანო ანგელოზნო, • და მთავრობანო ძალაღნო, • წინაშე მეუფისა მდგომარენო, • ცოდვათა მოტევებაჲ • და კეთილი ცხორებაჲ • ითხოვეთ ჩუენთვის, • რაითა ღირს-ვიქმნეთ ზეცათა სასუფეველსა.

მ. სიტყვების მატება.

სხვადასხვა ხელნაწერში სიტყვათა მატებაც გვხვდება. მეორე ხმის კვირა ღღის დასდებელში **ღღიანი ცისკარს...** Jer. 119-სა და A 304-ში დამატებულია სიტყვა „მკუდრეთით“:

ღღიანი ცისკარს მიიწინეს • საფლავსა შენსა დიდებულსა და • იხილეს ანგელოზი, რომელი • ღალადებდა, ვითარმედ: აღდგა უფალი მკუდრეთით.

Jer. 119 და Ath. 26 მესამე ხმის შაბათის დასდებელში *სადა ბრწყინავს ნათელი შენი...* ამატებენ სიტყვებს „*ცოდვანი და*“:

სადა ბრწყინავს ნათელი შენი • საყოფელსა რჩეულთა შენტასა, ღმერთო, • სადა-იგი არს შეუებად სამარადისოჲ, • ამიერ სოფლით განსრულნი • მუნ დააწესენ, მაცხოვარ, და შეუნდვენ ცოდვანი და • ბრალნი მათნი, უფალო, • რაგთა გადიდებლეთ შენ.

შ. სიტყვების კლება.

კლების მაგალითები ძალიან მცირეა. მოვიყვანთ რამდენიმეს. Ath. 26-ში მესამე გვერდითი ხმის კვირის დასდებელში *ნათელ არს მამაჲ...* გამოტოვებულია სიტყვები „*და ყოვლადძლიერ*“, რაც შინაარსის მხრივ არანაირ ხარვეზს არ წარმოადგენს, რადგანაც ამ დასდებელში ხდება ღმერთის თვისებათა ჩამოთვლა, რომელთაგან ერთ-ერთი Ath. 26-ში გამოტოვებულია:

ნათელ არს მამაჲ, ნათელ არს მე, ნათელ არს სული წმიდაჲ, • არა სამნი განყოფილნი ნათელნი, • რამეთუ ერთ ნათელ არს სამებაჲ • და ერთღმრთეება არს სამთა პირთა შინა • და ერთმთავრობა და ერთბუნება და თანაარს, • განუყოფელ და შეურწყუმელ, სამარადისო • და ყოვლადძლიერ • და ყოვლისავე მპყრობელ, • რომელმან შექმნა დაბადებულნი • და ყოველთავე ჰმართებს და განაგებს.

მესამე გვერდითი ხმის სამშაბათის ბოლო დასდებელში Sin. 77-ში გამოტოვებულია სიტყვა „*ყოვლისა*“: სხვა ხელნაწერებში წერია „*სასოლო ყოვლისა სოფლისაო*“, ხოლო Sin. 77-ში „*სასოლო სოფლისაო*“.

მეოთხე ხმის პარასკევის ბოლო დასდებელში Ath. 50-ს აკლია სიტყვები „*ძელითა მომკუდარმან სოფელსა*“.

ზ. ასოების მონაცვლეობა.

სიტყვა „*ნებსით*“ A 93-ში ყოველთვის გვხვდება ფორმით „*ნეფსით*“, Jer. 119-ში ყოველთვის არის „*ნებსით*“, დანარჩენ ხელნაწერებში კი ორივე ფორმა ფიქსირდება.

არის შემთხვევები, როცა Sin. 77-ში გვაქვს ასეთი ფორმები „*ორშაბაღსა*“, „*სამშაბაღსა*“ და *მსგავსი*.

სიტყვები „*დამსჭუალვაჲ, დასჯილი, სასჯელი, სჯული*“ A 93-ში ყოველთვის გვაქვს „*შ*“ ასოთი – „*დამშჭუალვაჲ, დაშჯილი, საშჯელი, შჯული*“, Jer. 119-ში, Jer. 123-სა და Sin. 77-ში ეს ფორმები ძირითადად გვხვდება „*ს*“ ასოთი, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც „*შ*“-ც ფიქსირდება. Ath. 26-ში ხსენებული სიტყვები უკლებლივ ყველგან „*ს*“ ასოთია მოცემული.

სიტყვა „*აღდგა*“ პარაკლიტონის შემცველ ხელნაწერებში გვხვდება შემდეგი ფორმებით: *ადგა, აღდგა, ასდგა, აღსდგა*. ჩვენ ყველგან ვტოვებთ ფორმას „*აღდგა*“, ხოლო განსხვავებულ ვარიანტებს ვუთითებთ შესაბამის სქოლიოში.

წმ. გიორგი მთაწმინდელის ანდერძი

[2v] სახელითა მამისაათა და ძისაათა და სულისა წმიდისაათა, ითარგმნა **პარაკლიტონი**¹ სრულებით და უნაკლულად, ვრცელად და მდიდრად, წმიდად და შუენიერად, ველითა ჩემ გლახაკისა **გიორგი სუცეს-მონაზონისაათა**. და არათუ მე ღირს-ვიყავ სრულყოფად მალ-ლისა ამის და მიუწოდმელისა საქმისა, არამედ ღმერთმან წყალობისათჳს ნათესავისა ჩუენისა, ლოცვითა და მადლითა ყოველთა ქართველთაათა, აღალო პირუტყუთ-სახე ესე პირი ჩემი და აღძრა მწიკულევეანი ესე ენაჲ ჩემი, და ყოვლისა ბრალისა თანამდები ესე სული და გონებაჲ ჩემი, და მომმადლა სრულყოფაჲ ყოვლადშუენიერისა ამის და დიდისა საქმისაჲ.

და აწ რომელნიცა სწერდეთ წმიდასა ამას და სულთა განმანათლებელსა წიგნსა, პირველად ჩუენთჳს ლოცვა-ყავთ და ნუ ჰგონებთ, თუ კნინი რაჲმე და მცირედი ჭირი მინახავს ამისსა თარგმნასა და წერასა, უფალმან უწყის.

ოდეს დასაბამი და აღსასრული საქმისაჲ მოვივსენო, ძრწოლაჲ შეედების ძუალთა ჩემთა და მიკვრს, თუ რაულად შევჰკადრე და ველ-ვყავ, ანუ რაულად სრულ-იქმნა, გარნა ღმრთისა ძლიერებათაგან შეუძლებელ არარაჲ არს და ვითა თავადმან ბრძანა, ჭეშმარიტად „ძალი მისი უძლურებასა შინა სრულ იქმნების“ (2 კორ. 12, 9).

ხოლო ვინაჲთგან **არა ვაგონებდი, თუ სრულებით შე-ვით-ვჰკადრებ თარგმანებასა**, პირველად **სტიქარონ-წარდგომები**² ვთარგმნე **სსუასა წიგნსა შინა**³ და მერმე, ვინაჲთგან ბრძანებითა მამათა ჩემთა სულიერთაათა **სრულებით კელ-ვყავ თარგმნაჲ**, მეორე წიგნი აღიწერა **დიდი** და განთესულად შემოჰვდა

1 პარაკლიტონი (ბერძ. παρακλητικη – ნუგეშისმცემელი) – ლიტურგიკული კრებულის, რომელშიც მოთავსებულია კვირისა და საღაგი დღეების რვა ხმაზე გაწყობილი საგალობლები. ბერძნული **პარაკლიტონი** ორ ნაწილად იყოფა: პირველ ნაწილში მოთავსებულია კვირადღის საგალობლები, ხოლო მეორე ნაწილში – საღაგი დღეებისა. პირველ ნაწილს ბერძნულად ეწოდება **ოქტოისონი** (ბერძ. οκτωηχος – რვა ხმათა), ხოლო მეორე ნაწილს – **პარაკლიტონი**. ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში ამგვარი დაყოფა არ გვხვდება.

2 სტიქარონი – (ბერძ. στιχηρον) ერთი ან რამდენიმე სტროფისგან შემდგარი მცირე ზომის საგალობელი, რომელიც დაწერილია ერთი საღეჭსო ზომით. სტიქარონები ფსალმუნურ მუსიკებს დაერთვის. არსებობს ამ საგალობელთა ოთხი სახეობა: „**უფალო დაღაღყავნი**“, „**აქებლითნი**“, „**აღვივსენითნი**“ და საკუთრივ **სტიქარონნი**.

წარდგომა – ტროპარი, რომელიც ბერძნულში ორი სხვადასხვა ტერმინითაა გამოხატული:

1. **წარდგომა** (ბერძ. κθισμα) – ტროპარი, რომელიც სრულდება: ა. ცისკრად ფსალმუნების შემდეგ საკითხავის წინ. ბ. ცისკრად ცხრაოდიანი ჰიმნოგრაფიული კანონის მესამე (იშეითად მეექვსე) გალობის შემდეგ („განძლიერდასა და დაღაღყავსა ზედა წარდგომაჲ“).

2. **წარდგომა** (ბერძ. προκειμενον-στιχος) – მოკლე გალობა, რომელიც უძღვის საკითხავს სახარებიდან, სამოციქულოდან ან საწინასწარმეტყველოდან. მას კითხულობს წიგნისმკითხველი ან დიაკონი და შემდეგ გალობით იმეორებენ მგალობლები (იხ. „დიდი სუნაქსარი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მანანა დოლოაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა, თბილისი, 2017, გვ. 506-507).

3 სსუაჲ წიგნი, რომელსაც წმ. გიორგი მთაწმინდელი სხვაგან „**მცირე წიგნს**“ უწოდებს, შეიცავს „**სტიქარონ-წარდგომებს**“. ეს კრებულის, როგორც ჩანს, შემონახულია Sin. 77-ში (შდრ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვეთი III, გვ. 166). მისი მასალა **პარაკლიტონის** სხვა ნუსხებშიც არის გაბნეულად შენარჩუნებული.

აღწერა იძულებით და ამის მიზეზისათვის საჭირო-იქმნა ამის **ზანდუკისა**¹ აღწერა, რაათა უკუეთუ ვინმე წერდეს, ესრეთ აღწეროს, ვითა ესერა შემდგომითი-შემდგომად აღგვწერია, და უკუეთუ ვინმე ენებოს ძალისა ცნობად, თუ რაა წერია² წმიდასა ამას და ყოვლადსაწადელსა წიგნსა შინა, ადვილად ეუწყოს ძალი და რიცხვ **სტიქარონთა** და **გალობათა**³.

აწ უკუე ჯერ-არს, რაათა უკუეთუ ვინმე სრულებით აღსწერდეს, პირველად იწყოს **ადგომისა სტიქარონთა ბერძულთა, ქართულთა**⁴, ვითა ჰარაკლიტონსა შინა დაგვწერია, მუნ დასწერდით და ერთგან ნუ აპრევთ. გინათუ **ადგომისანი** იყვნენ, გინათუ **მთავარანგელოზთანი**, გინათუ **ნათლისმცემლისანი**, გინათუ **ღმრთისმშობლისანი**, გინათუ **მოციქულთანი**, გინათუ **ჯუარისანი**, გინათუ **წმიდათანი**, იგი თავის-თავისა ადგილსა აღიწერებოდინ და ესე კუალად ახლად თარგმნილნი – თავისა ადგილსა. და ოდეს ვინ იტყოდის, ვითარცა ჯერ-უჩნდეს, თქუას, გინათუ იგი, გინათუ ესე, გინათუ ორივე ესე, – ძალსა და გულსმოდგინებასა ზედა არს თვთოეულისასა და ორივე ფრიად კეთილ არს და შუენიერ, და ორივე **ბერძულისაგან** არს და იშვთანი არიან **ქართულისაგან**. და რომელნიცა **ქართულნი** არიან და ჩუენ აღგვწერიან, ფრიად კეთილ არიან და საწადელ. მაგრა სხუასა მეტსა, რომელი ჩუენ არა აღგვწერია, ნუღარავინ **ჩასჩლეთს** და საწყინოდ გაჰვდის წიგნსა. თუ ვინ იტყოდის, ესე ჭეშმარიტად კმა არს და ნამეტნავ. და თუ არა, ღმერთსა მან გასცეს პასუხი დღესა საშჯელისასა, ვინ მეტსა ეურვოდისდა და წიგნსა რყუნიდეს.

[31] პირველად უკუე ჯერ-არს აღწერა **ბერძულთა ადგომისათა და სამარადისოთა**⁵ **უფალო-დაღადყავ აქებლითათა**⁶, ესრე-სახედ პირველად **ადგომისანი** და მერმე **ადგომისათა** შეუდგინნეს **სინანულისანი**, და **სინანულისათა** – **ჯუარისანი**, და **ჯუარისათა** – **მოციქულთანი**, და **მოციქულთასა** – **წმიდათანი**, და **წმიდათასა** – **მღდელთმოდღუართანი**, და **მამათანი**, და **დედათა მოწამეთანი**, და მერმელა **სულისანი**⁷, და **სულისათა** – **ღმრთისმშობლისანი**, და ესრეთდა დასრულდების **კმა** და **რვანივე კმანი**⁸ ამას გუარსა ზედა აღწერნეს.

ხოლო ვინამთგან ჩუენ მდიდრად და ვრცელად აღვსწერდით ამათ **სამარადისოთა**, ვერ ვპოეთ **ბერძულად** ეგეთი მდიდარი წიგნი, რომელმცა ერთგან ეწერა ყოველი, რაათამცა

1 ილია აბულაძის განმარტებით, „ზანდუკი – საბიებელი, ცხრილი წიგნისა“ (აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 162).

2 ნუსხ. «სწერია».

3 **გალობანი** (ბერძ. **κᾶνόν** – კანონი) – ცხრა ოდისგან შემდგარი ჰიმნოგრაფიული კანონი. თითოეული ოდა მოიხსენიება ბიბლიური საგალობლის დასაწყისი სიტყვით: I. „უგალობლითსა“, II. „მოიხილესა“, III. „განძლიერლასა“, IV. „მესმასა“, V. „ლამითგანსა“, VI. „ლაღადყავსა“, VII. „კურთხეულარსა“, VIII. „აკურთხევლითსა“, IX. „ადიდებლითსა“. ყველა მათგანი შედგება **ძლისპირისგან** და რამდენიმე დასდებლისგან. **ძლისპირი** დანარჩენი დასდებლების რიტმულ-მელოდიურ მოდელს წარმოადგენს.

4 **ანღერძში** გიორგი მთაწმინდელი საგალობელთა ნაწილს უწოდებს **„ბერძულს“**, ხოლო ნაწილს – **„ქართულს“**. **ბერძულ** საგალობლებში იგულისხმება მის მიერ ახლად თარგმნილი საგალობლები, ხოლო **ქართულ** საგალობლებში – მანამდე არსებული საგალობლები, ნათარგმნი და ორიგინალური.

5 **სამარადისო** – საღაგი დღის საგალობლები.

6 **აქებლითათა** – სტიქარონთა სახეობა, რომელიც ჩაერთვის გამოკრებილ ფსალმუნს (ფს. 148, 149, 150).

7 **სულისანი** – საგალობლები, რომლებიც გარდაცვლილთა სულების სათხად აღესრულება.

8 **რვა ჳმა** გულისხმობს რვა განსხვავებულ კილოს და მათთვის ნიშანდობლივ მელოდიურ ფორმულებს, რომლებზეც აგებულია საეკლესიო ჰიმნოგრაფია.

მიწყებით დაგუეწერა. ამისთვის დანარჩომნი და უფრომსლა ნამეტნაენი მეორისა წიგნისა ბოლოსა დაგვწერიან და აწ თავნი და საძირკუელნი ესენი არიან, რომელნი უმცრომსსა წიგნსა სწერიან.

1. ხოლო რომელთაცა წყვილთა¹ დასდებელი ამას დიდსა წიგნსა იპოოს, ნუ თავად დასწერს, არამედ თუ ადგომისაჲ იყოს, ადგომისათა შეუდგინოს, და თუ სინანულისაჲ – სინანულისათა, და ჯუარისაჲ – ჯუარისათა, და მოციქულთაჲ – მოციქულთასა, და წმიდათაჲ – წმიდათასა, და მღდელთმოდღუართა და მამათაჲ – წმიდათასა, და სულისაჲ – სულისათა, და ღმრთისმშობლისაჲ – ღმრთისმშობლისათა, გინათუ უფალო-ლაღატყავთაჲ იყოს და გინათუ წარდგომათაჲ, ესრეთ ჯერ-არს აღწერაჲ და ვითა რვანივე ვმანი უფალო-ლაღატყავნი ამას გუარსა ზედა აღწერნეს, და წყვილად განყუნეს, და თავნი ყოველნი წითლითა დასხნეს, რამეთუ რომელნი ძლისპირსა ზედა არა იყვნენ, თვთავაჯნია² და მისთვის ჯერ-არს წითლითა დასუმაჲ. რომელნი კულა ძლისპირსა ზედა იყვნენ, იგი ვითა წყვილნი დაწერნეს ჩუეულებისაებრ.

